განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე:

ნინო ხაჩიძე (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი)

**წევრები:**

მარიამ მიქაძე (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი)

მარინა გედევანიშვილი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

---------------------

[ქალაქი, წელი]

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 205 224 700

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

(ქალაქი, წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2018 წლის 14 აგვისტოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების შესახებ განაცხადის და ცენტრის დირექტორის 2018 წლის 24 სექტემბრის N862 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 24, 25 და 26 ოქტომბერს.
ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების შემოწმება; პროგრამებში გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებათა გადასამოწმებლად პროგრამის ხელმძღვანელებთან და მოდულის განმახორციელებლებთან შეხვედრა და გასაუბრება; შენობის დათვალიერება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა და დოკუმენტაციის შემოწმება; ბიბლიოთეკის ფონდის და რეესტრის (evet.emis.ge) შემოწმება; პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება, ინტერვიუირება და მათთან გაფორმებული მემორანდუმების პირობების შემოწმება.
დღის ბოლოს ხორციელდებოდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება.
ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სოხუმის უნივერსიტეტის პროფესიულ პროგრამებს შესაბამისი ფაკულტეტები ახორციელებენ. პროფესიული სტუდენტები უნივერსიტეტის ყველა მატერიალურ-ტექნიკური და საბიბლიოთეკო რესურსით შეუზღუდავად სარგებლობენ. მათთვის გამოყოფილ აუდიტორიებში (A, B და C გარემოში) აკადემიური პროგრამების სტუდენტები ძირითად შემთხვევებში არ მეცადინეობენ.
რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, პროგრამაში ჩართულია აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის წესით არჩეული 8 პროფესორი, რომელთაგან სამი პროფესორის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დატვირთვის გარდა, კვირეული დატვირთვა აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებზე შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ რაოდენობას (40 საათს) აღემატება. ხარისხის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, აღნიშნულ პირებს ზეგანაკვეთური სამუშაო უნაზღაურდებათ შრომის კოდექსით გათვალისწინებული და უნივერსიტეტში დადგენილი წესით, თუმცა სამომავლოდ რექტორი გეგმავს, მაქსიმალურად შეამციროს ადმინისტრაციული პერსონალის აკადემიური საათობრივი დატვირთვა. ამასთან, უნივერსიტეტს ყავს საკმარისი აკადემიური რესურსი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ზემოაღნიშნული პროფესორების ჩასანაცვლებლად გამოიყენებს.

როგორც მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დგინდება, უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

*დანართი №2*

| მდგომარეობა | სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | ფართი | მისამართების რაოდენობა და მდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი | 1-20 | 1-5 | 1-20 | 1-500 კვ.მ. | ერთ მისამართზე |
| არსებული | 21-50 | 6-10 | 21-50 | 501-1500 კვ.მ. | სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში |
| | 51-150 | 11-15 | 51-100 | 1501-3000 კვ.მ. | სხვადასხვა მუნიციპალიტეტში |
| | 151-500 | 16-20 | 101-150 | 3000-5000 კვ.მ. | |
| | 501 და მეტი | 21 და მეტი | 151 და მეტია მეტი | 5001 და მეტი კვ.მ. | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

----------------------------

*[ქალაქი, წელი]*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | □ | ■ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | □ | ■ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | □ | ■ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..........................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..........................

[ქალაქი, წელი]

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ■ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ■ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ. | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | ■ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი. | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | ■ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში, | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ............

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ............

............

............

(ქალაქი, წელი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.) ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. | მუხლი 7 / პუნქტი თ) | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7 / პუნქტი ი) | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ■ | ☐ |

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სამივე პროფესიული პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს მომზადებული აქვთ თითოეული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში და კომპეტენციების კვლევა სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (SWOT ანალიზები), რაც საუკეთესო გამოცდილების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..............................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..............................

..............................

(ქალაქი, წელი)

დანართი №2

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამებში ქართული ენის ის მოდულებია შეტანილი, რომელთაც გამოქვეყნების თარიღად მითითებული აქვთ 07.03.2016 ნაცვლად 07.03.2016, 02.11.2017-სა. შესაბამისად, დაწესებულებას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით პროგრამებში ცვლილება და მოდულების ადაპტირება არ განუხორციელებია.

ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლობენ 162 კრედიტიანი პროგრამით და იმ მოდულებით, რითიც მოიპოვა დაწესებულებამ 2016 წელს პროგრამის განხორციელების უფლება. შესაბამისად დაწესებულებას 2018 წელს პროგრამაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად არ განუხორციელებია იმ 113 კრედიტიან პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გადაყვანა, რომლის განხორციელების უფლებამოსილებაც გააჩნია მას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის N13 გადაწყვეტილებით.

ქვესტანდარტი 1.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი დ)

2016 წელს ჩარიცხულ ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა 2017 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით (N15/01-30-0216). მის პირად საქმეში დევს საბაზო განათლების ატესტატის ასლი, როდესაც სადაზღვევო აგენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. შესაბამისად, დაწესებულებამ რანჟირების დოკუმენტის გაცნობის შემდეგ არ უზრუნველყო პირადი საქმეების დაკომპლექტება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით. დაწესებულებამ აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურა;

სადაზღვევო აგენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს პირად საქმეში არ უდევს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, სურათები და ხელშეკრულება, რაც ფასდება დაწესებულების მიერ საკუთარი რეგულაციის დარღვევად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ...........................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ...........................

...........................

...........................

(ქალაქი, წელი)

არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირად საქმეში არ იდო დაბადების მოწმობის ასლი და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის (არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტწლამდე) ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. შესაბამისად, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა იდოს არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობის და მისი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) პირადობის მოწმობის ასლები, რომლითაც დადასტურდება კანონიერი წარმომადგენლობა; აღნიშნული გაწერილი უნდა ჰქონდეს დაწესებულებას სტუდენტთა ჩარიცხვის წესშიც; დაწესებულებამ ვიზიტის მესამე დღეს წარმოადგინა სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლი და მშობლის პირადობის მოწმობის ასლი. თუმცა სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება დაუნომრავია.

კიდევ ერთი სტუდენტის ხელშეკრულება იყო დაუნომრავი.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

**ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არცერთი პროგრამის არცერთი მოდული არ არის სრულად ადაპტირებული, რადგან ჩარჩენილია შემდეგი სიტყვები: მინიმალური, არანაკლებ, სარეკომენდაციო, რეკომენდაციები, პროექტორი/მონიტორი. ასევე მოდულების ნაწილში ჩატოვებულია ინფორმაცია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უფლებების შესახებ. შესაბამისად, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამების სრული ადაპტირება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ მოდულის სწავლისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება არაუგვიანეს 10 დღისა. რამდენიმე მოდული, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, განმეორებითი შეფასებისთვის არ ითვალისწინებს დროის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

შუალედს. შესაბამისად, სასურველია სასწავლო გეგმები ისე შემუშავდეს, რომ მოდულებს, რომლებსაც აქვთ სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, განმეორებითი შეფასებისთვის გამოყოფილი დროის შუალედი გათვალისწინებული იყოს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ რამდენიმე მოდულში მოდულის განხორციელების მიდგომებში მითითებულია, რომ აღნიშნული მოდულები უნდა ისწავლებოდეს რომელიმე სხვა მოდულის პარალელურად, ან პროგრამის საწყის ეტაპზე, თუმცა სასწავლო გეგმით აღნიშნული გათვალისწინებული არაა. შესაბამისად, სასურველია დაწესებულება თავისივე გაწერილს დაეყრდნოს და იმის მიხედვით შეიმუშაოს პროგრამების სასწავლო გეგმები.

სასწავლო გეგმა სასურველია გაიწეროს ისე, რომ პროფესიული სტუდენტის დატვირთვა ყოველკვირეულად მკვეთრად არ იცვლებოდეს.

სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ან ცალკე რეგულაციად გაწეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამატების წესი. მნიშვნელოვანია, აღნიშნული წესით გაწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდეს პროგრამის დამატებასთან, მოდულის ადაპტირებასთან და პროგრამებში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას. კერძოდ, სასურველია გაიწეროს, რა სახის ცვლილებების განხორციელების უფლება აქვს დაწესებულებას პროგრამისა და მოდულის ადაპტირებისას, რა ხდება მაშინ, როდესაც ცვლილებების განხორციელება ცდება კოლეჯის უფლებამოსილებას, როგორ ხდება პროგრამის დამტკიცება და დამატება, როგორ უზრუნველყოფს პროგრამებში ცვლილებების შეტანას დაწესებულება და ა.შ.

პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ მემორანდუმებში ან შემდგომ გაფორმებულ ხელშეკრულებებში, სასურველია გაიწეროს პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები, ასევე რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია პრაქტიკის ობიექტს ერთდროულად და ა.შ.

ქვესტანდარტი 1.2 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ბ)

გარდა სტანდარტით მოთხოვნილი მინიმალური ინფორმაციისა, კატალოგი შეიძლება მოიცავდეს დამატებით ინფორმაციასაც, რისი მიწოდებაც დაწესებულებას სურს ფართო საზოგადოებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

[ქალაქი, წელი]

შესაბამისად, კატალოგში შესაძლოა აისახოს დაწესებულების მთავარი ფასეულობები, ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი და სხვა.

ქვესტანდარტი 1.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი დ)

უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის" საფუძველზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე დაწესებულებამ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან (ატესტატი) ერთად სტუდენტისგან უნდა ჩაიბაროს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება. აღნიშნული რეგულაცია დაწესებულებას გაწერილი უნდა ჰქონდეს სტუდენტთა ჩარიცხვის წესში.

2017 წლის პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებულია შემდეგი "სსუ-ში აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (132 კრედიტი) სწავლის საფასური შეადგენს 1771 ლარს და არ იცვლება საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად საჭირო სტანდარტული ვადის ამოწურვამდე. საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად საჭირო სტანდარტული ვადა შეადგენს 23 თვეს". შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ხელშეკრულებაში გაწერილ სწავლის საფასურთან მიუთითოს, რომ პროფესიული სტუდენტის 100 პროცენტიან დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო;

რექტორის ერთ-ერთი ბრძანების გაცნობისას, რომელიც ეხებოდა პროფესიული სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერებას, მის საკონსტატაციო ნაწილში ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტი, რომელიც ეხება ადმინისტრაციული (ფინანსური) ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობას და შემუშავებულია აკადემიური პროგრამების სტუდენტებისთვის. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების საფუძვლებში სწორად მიუთითოს პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებაში გამოსაყენებელი მარეგულირებელი დოკუმენტები. ამასთან პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პროფესიულ სტუდენტთა ვალდებულებებიდან ამოიღოს დადგენილ ვადაში აკადემიური რეგისტრაციის გავლა, რადგან აკადემიური რეგისტრაციის გავლა არ ვრცელდება პროფესიულ სტუდენტებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

[ქალაქი, წელი]

ქვესტანდარტი 2.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი გ)

დაწესებულებას ფაკულტეტზე რამდენიმე ელექტრონული წიგნი ჰქონდა, მაგრამ არ ჰქონდა განთავსებული ბიბლიოთეკაში. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ელექტრონული წიგნები გადაეტანათ ელექტრონულ მატარებლებზე და ისე განეთავსებინათ ბიბლიოთეკაში. ვიზიტის მესამე დღეს წიგნების ელ. ვერსიები ჩაიწერა CD დისკებზე და განთავსდა ბიბლიოთეკაში.

ქვესტანდარტი 2.6.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)

მნიშვნელოვანია დაწესებულებამ შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის. ასევე, სასურველია გაიწეროს, თუ ვინ უზრუნველყოფს მედიკამენტების ვადების კონტროლს, მედიკამენტების გაცემას, ჩამოწერას, სარეგისტრაციო ჟურნალებში მიმართვიანობის გატარებას და ა.შ.

ქვესტანდარტი 3.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი გ)

მოდულების განმახორციელებლებთან დადებულ მომსახურების ხელშეკრულებებში სასურველია გაიწეროს პროგრამასთან ერთად, მოდულ/ებ/ის დასახელებაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

VII. დაწესებულების მისია

# „ცოდნა - აღმაშენებელი“

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 1932 წელს დაარსებული სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან - სოხუმის/აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) - უშუალო სამართალმემკვიდრეს. ის არის მრავალსაუკუნოვანი ზოგადქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მატარებელი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ეფუძნება ქართველი და აფხაზი ხალხების სულიერ და ინტელექტუალურ ფასეულობებს, მულტიკულტურული სისტემების მდგრადობის განმსაზღვრელ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; გააჩნია განსაკუთრებული - ეთნიკური, მენტალური და სოციოკულტურული ფასეულობების შემაკავშირებელი ფუნქცია - ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის უკანასკნელ ათწლეულებში გაჩენილი მენტალური გაუცხოების აღმოფხვრისა და აფხაზეთში ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების აღდგენის პროცესის ხელის შეწყობა. ეს განსაკუთრებული მისია, რომელიც უპირატესობასთან ერთად, საგანგებო და ისტორიული პასუხისმგებლობაცაა, აჩენს შესაძლებლობას, რომ უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო კერასთან ერთად, იქცეს კონფლიქტების კვლევის რეგიონულ ცენტრად.

უნივერსიტეტის მისიაა კაცობრიობის მთავარი ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურის სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მაღალ ზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. უნივერსიტეტის კარი ღიაა ყველა სტუდენტისა და პროფესორისათვის განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია ისეთი მნიშვნელოვანი დარგებისა და მიმართულებების განვითარება, როგორებიცაა: ქართველოლოგია, აფხაზეთმცოდნეობა, მასწავლებელთა განათლება, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები, სამართალი და ბიზნესის ადმინისტრირება. ამასთან ერთად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინარული დარგების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

მოკლევადიანი და პროფესიული პროგრამების განხორციელება, რომელთა მიზანს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება შეადგენს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მხარს უჭერს განათლების ინტერნაციონალიზაციას, უწყვეტობას, მდგრადობასა და ხელმისაწვდომობას; აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია უცხოელ პარტნიორებთან ერთად სხვადასხვა ერთობლივ სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში აქტიური ჩართვა, მათი მხარდაჭერა, რაც, თავის მხრივ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო აღიარებას მოუპოვებს.

## უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:

- მომავალი თაობების აღზრდა ქართული კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დასავლურ ფასეულობებზე, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე ორიენტაცია;
- უნივერსიტეტში აკადემიური განათლების სამსაფეხურიანი სწავლების ციკლის (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა-დოქტორანტურა), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, უწყვეტი განათლების და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სასწავლო პროგრამების განხორციელება, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება;
- პიროვნული პოტენციალის რეალიზება, ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;
- სამეცნიერო პერსონალის მომზადება და პროფესიული განვითარება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება, საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
- უნივერსიტეტის სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის წახალისება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

---------------------

(ქალაქი, წელი)

სტანდარტების შეფასება

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ("ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი", "ვებ-ინტერფეისის დეველოპერი", "სადაზღვევო აგენტი") დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (N05/01-369 / 24.11.2017).
თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია.
დაწესებულებას ქვესტანდარტის ფარგლებში მიეცა რიგი რეკომენდაციები, კერძოდ:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არცერთი პროგრამის არცერთი მოდული არ არის სრულად ადაპტირებული, რადგან ჩარჩენილია შემდეგი სიტყვები: მინიმალური, არანაკლებ, სარეკომენდაციო, რეკომენდაციები, პროექტორი/მონიტორი, ასევე მოდულების ნაწილში ჩატოვებულია ინფორმაცია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უფლებების შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

[ქალაქი, წელი]

ვიზიტისას შეფასდა მოდულის განმახორციელებელთა მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების ინსტრუმენტების ნაწილში, შესრულების კრიტერიუმიდან გამომდინარე გაწერილი შეფასების მიმართულება და ინსტრუმენტი არ იყო თანხვედრაში ერთმანეთთან. მოდულის განმახორციელებელთა თქმით, ისინი ყველაზე დიდ დახმარებას საჭიროებენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას, გამომდინარე იქიდან, რომ თვითონაც ხედავენ შეფასების ინსტრუმენტებში არსებულ ხარვეზებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების შეფასებისას და მოდულის განმახორციელებელთან გასაუბრებით გამოირკვა ორი სახის ხარვეზი. კერძოდ:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამებში ქართული ენის ის მოდულებია შეტანილი, რომელთაც გამოქვეყნების თარიღად მითითებული აქვთ 07.03.2016 ნაცვლად 07.03.2016, 02.11.2017-სა. შესაბამისად, დაწესებულებას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოდულებში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით პროგრამებში ცვლილება და მოდულების ადაპტირება არ განუხორციელებია.

2. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ 2016 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლობენ იმ პროგრამით, რომლითაც მოიპოვა დაწესებულებამ ავტორიზაცია. კერძოდ გაირკვა შემდეგი:

    - დაწესებულებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (N18/09.09.2016) მიენიჭა 162 კრედიტიანი ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, რომელიც მოიცავდა ერთ-ერთ არჩევით მოდულად პრეზენტაციის ტექნიკის მოდულს (დანართი 2);
    - ზემოაღნიშნულ საბჭოს გადაწყვეტილებაში შევიდა ცვლილება 2017 წლის 21 სექტემბერს N22 გადაწყვეტილებით და პროგრამის მოცულობად განისაზღვრა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 132 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 162 კრედიტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

________

________

(ქალაქი, წელი)

- 2016 წლის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა 2018 წლის 20 მარტს N13 გადაწყვეტილებით და ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობად განისაზღვრა 113 კრედიტი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 143. ცვლილება შეეხო ზოგად მოდულებს და არჩევითი მოდულების ბლოკიდან ჩაიხსნა მხოლოდ ერთი არჩევითი მოდული - პრეზენტაციის ტექნიკა. შესაბამისად, დაწესებულებას ამ მოცულობის ფარგლებში მიენიჭა უფლებამოსილება განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

მოდულის განმახორციელებელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლობენ იმ პროგრამითა (162 კრედიტი) და იმ მოდულებით, რითიც დაწესებულებამ 2016 წელს პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა. განათლების ფაკულტეტის წარმომადგენლებმა არ განახორციელეს იმ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გადაყვანა, რომლის განხორციელების უფლებამოსილებაც მან მოიპოვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილებით. შესაბამისად დაწესებულებას აქვს ერთის ნაცვლად ორი პროგრამა და ორივე პროგრამაზე ყავს პროფესიული სტუდენტები, რაც ხარვეზია.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის შემდეგ ობიექტებთან:

- ა(ა)იპ თბილისის #39 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი;
- ა(ა)იპ თბილისის #27 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი;
- ა(ა)იპ თბილისის #45 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი;
- ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო;
- კომპანია "ჯი პი აი ჰოლდინგი".
- სს "დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ალდაგი";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: მ. [signature] მ. [signature]

(ქალაქი, წელი)

- სს "დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო".

პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ მემორანდუმებში ან შემდგომ გაფორმებულ ხელშეკრულებებში, მნიშვნელოვანია გაიწეროს პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები, მათი მიღწევისა და დადასტურების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხები და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რის მიღებასაც შეძლებს პრაქტიკის ობიექტი ერთდროულად.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ა(ა)იპ თბილისის #39 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღსა და სს "დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო"-ში ვიზიტი. დაწესებულების წარმომადგენლები მზაობას გამოთქვამენ მიიღონ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად იმდენი პროფესიული სტუდენტი, რამდენსაც გაუგზავნის დაწესებულება და ხელი შეუწყონ მათ დასაქმებას. პროფესიული სტუდენტებიც კმაყოფილებას გამოთქვამენ პრაქტიკის ობიექტებით და პრაქტიკულ კომპონენტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების აქტით;
- მემორანდუმებით;
- მოდულის განმახორციელებლებთან გასაუბრებით;
- პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებითა და ინტერვიუირებით.

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

---------------

---------------

(ქალაქი, წელი)

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ვიზიტის დასაწყისში დაწესებულებაში არ არსებობდა საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი). დაწესებულება კატალოგად მოიაზრებდა ვებ გვერდზე განთავსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სადაც თითოეული პროგრამის ფარგლებში მოცემული იყო ინფორმაცია მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. დაწესებულებას განემარტა, რომ კატალოგის ვებ გვერდზე განთავსება აუცილებელი იყო, რადგან ის წარმოადგენს დაწესებულების სავიზიტო ბარათს, სადაც მინიმუმ უნდა იყოს ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. მისი განახლება უნდა მოხდეს ყოველწლიურად; განახლება შეიძლება დაემთხვეს როგორც ახალ სასწავლო წელს, ისე კალენდარულ წელს. დაწესებულებამ ვიზიტის მეორე დღეს ვებ გვერდზე განათავსა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. კატალოგი მოიცავს დაწესებულების შესახებ ინფორმაციას, მისიას, მიზნებს, პროგრამების ჩამონათვალს, თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (მოცემულია მისანიჭებელი კვალიფიკაციები, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტებისა და შეფასების წესი) და პროგრამიდან გამომდინარე საკონტაქტო ინფორმაციასა და პროგრამის ხელმძღვანელთა ვინაობას.

გარდა სტანდარტით მოთხოვნილი მინიმალური ინფორმაციისა, კატალოგი შეიძლება მოიცავდეს დამატებით ინფორმაციასაც, რისი მიწოდებაც დაწესებულებას სურს ფართო საზოგადოებისათვის. შესაბამისად, კატალოგში შესაძლოა აისახოს დაწესებულების მთავარი ფასეულობები, ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბეჭდური და ელექტრონული კატალოგით;
- დაწესებულების ვებ გვერდით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

(ქალაქი, წელი)

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე და სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*[ქალაქი, წელი]*

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (#05/01 – 274, 245.05.2016) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის და მიღებული განათლების აღიარების წესები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით ირკვევა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება რექტორის ინდივიდუალურ/ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება ვაკანტური ადგილები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და მიღების ვადა. რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსანტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციის ჩამონათვალში გაწერილია შემდეგი დოკუმენტები:

- პირადობის მოწმობა (ასლი);
- ატესტატის ან დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (მინიმუმ 9 კლასის ატესტატი);
- ორი ფოტოსურათი CD დისკთან ერთად;
- დევნილის მოწმობა (იძულებით გადაადგილებულ პირთათვის);
- განცხადება.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებისთვის აუცილებელია სსუ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმდეს ხელშეკრულება.

შესაბამისად, გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც გამოირკვა დაწესებულების მიერ როგორც საკუთარი რეგულაციის, ისე კანონმდებლობის დარღვევა. კერძოდ:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

- 2016 წელს ჩარიცხულ ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა 2017 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით (N15/01-30-0216). მის პირად საქმეში დევს საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის ასლი, როდესაც სადაზღვევო აგენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. შესაბამისად, დაწესებულებამ რანჟირების დოკუმენტის გაცნობის შემდეგ არ უზრუნველყო პირადი საქმეების დაკომპლექტება პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით. დაწესებულებამ აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის პროცედურა (დანართი 3);

- სადაზღვევო აგენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთმა რეგისტრანტმა რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში (16-24 ნოემბერი, 2017) ვერ გაიარა რეგისტრაცია. 2017 წლის 8 დეკემბერს, რეგისტრანტმა ითხოვა რეგისტრაციისთვის დადგენილი გაშვებული ვადის აღდგენა, ვინაიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო ვერ შეძლო 2017-2018 სასწავლო წელს პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე სწავლების მსურველთათვის რეგისტრაციის პერიოდში რეგისტრაციის გავლა და მოითხოვა საპატიოდ გაშვებული ვადის აღდგენა. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი სპეციალისტის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე რექტორის ბრძანებით 20 დეკემბერს (N15/01-08-0090) განმცხადებელს მიენიჭა სტუდენტის სტატუსი. იურიდიული სამსახურის უფროსის განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლი ეხება გაშვებული ვადის აღდგენას, რომელშიც გაწერილია, რომ გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად - დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით. დაინტერესებულმა მხარემ გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ზემოაღნიშნულ გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა. შესაბამისად, რეგისტრანტმა წერილობითი განცხადება უნივერსიტეტში წარადგინა მდგომარეობის აღმოფხვრიდან მე-13 დღეს. ზემოაღნიშნულის გარდა, მის პირად საქმეში არ დევს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, სურათები და ხელშეკრულება, რაც ფასდება როგორც საკუთარი რეგულაციის დარღვევად (დანართი 4).

- ერთ-ერთი არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირად საქმეში არ იდო დაბადების მოწმობის ასლი და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის (არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტწლამდე) ნების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. შესაბამისად, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა იდოს არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობის და მისი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) პირადობის მოწმობის ასლები, რომლითაც დადასტურდება კანონიერი წარმომადგენლობა; აღნიშნული გაწერილი უნდა ჰქონდეს დაწესებულებას სტუდენტთა ჩარიცხვის წესშიც; დაწესებულებამ ვიზიტის მესამე დღეს წარმოადგინა სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლი და მშობლის პირადობის მოწმობის ასლი. თუმცა სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება დაუნომრავია (დანართი 5). კიდევ ერთი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაა დაუნომრავი (დანართი 6).

დაწესებულებას ქვესტანდარტის ფარგლებში მიეცა რიგი რეკომენდაციები. კერძოდ:

- უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის" საფუძველზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე დაწესებულებამ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენთან (ატესტატი) ერთად სტუდენტისგან უნდა ჩაიბაროს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება. აღნიშნული რეგულაცია დაწესებულებას გაწერილი უნდა ჰქონდეს სტუდენტთა ჩარიცხვის წესში.
- 2017 წლის პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებულია შემდეგი "სსუ-ში აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (132 კრედიტი) სწავლის საფასური შეადგენს 1771 ლარს და არ იცვლება საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად საჭირო სტანდარტული ვადის ამოწურვამდე. საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად საჭირო სტანდარტული ვადა შეადგენს 23 თვეს". შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ხელშეკრულებაში გაწერილ სწავლის საფასურთან მიუთითოს, რომ პროფესიული სტუდენტის 100 პროცენტიან დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო;
- რექტორის ერთ-ერთი ბრძანების გაცნობისას, რომელიც ეხებოდა პროფესიული სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერებას, მის საკონსტატაციო ნაწილში მითითებულია ერთ-ერთ საფუძვლად სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტი, რომელიც ეხება ადმინისტრაციული (ფინანსური) ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობას და შემუშავებულია აკადემიური პროგრამების სტუდენტებისთვის. შესაბამისად,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების საფუძვლებში სწორად მიუთითოს პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებაში გამოსაყენებელი მარეგულირებელი დოკუმენტები. ამასთან პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებების პროფესიულ სტუდენტთა ვალდებულებიდან ამოიღოს დადგენილ ვადაში აკადემიური რეგისტრაციის გავლა, რადგან აკადემიური რეგისტრაციის გავლა არ ვრცელდება პროფესიულ სტუდენტებზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- რექტორის ბრძანებით;
- პირადი საქმეებით.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

■ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც გაწერილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 12) (დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #05/01 – 274, 25.05.2016).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

აღნიშნული წესით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ასეთი პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას აღნიშნულ პროგრამასთან თავსებად საგანმანათლებლო პროგრამაზე მათი გადაყვანის გზით, მანამდე მოპოვებული კრედიტების აღიარებით.

თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შეთანხმების გაფორმებას და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის წარდგენას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. აღნიშნული მემორანდუმი მოქმედებს მანამ, სანამ ერთი მხარე უარს არ განაცხადებს მემორანდუმის გაუქმებაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- მემორანდუმით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ე. [signature]; მ. [signature]

(ქალაქი, წელი)

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს. ამ ციკლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც შეფასების მოსამზადებელი ეტაპი რამდენიმე საფეხურს მოიცავს:

1. შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა შესაფასებელი ობიექტის მიხედვით;
2. შემფასებლების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში მომზადება (ტრენინგი);
3. შეფასების პროცედურის შემუშავება;
4. შეფასების შედეგების ანალიზის ფორმის შემუშავება;
5. შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პრეზენტაციის წესის შემუშავება.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები, რომელთა თანახმადაც, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასება მოიცავს:

1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას;
2. სასწავლო პროცესის შეფასებას;
3. სამეცნიერო მუშაობის შეფასებას;
4. სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას;
5. პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) აზრის და დამოკიდებულებების კვლევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

(ქალაქი, წელი)

საგანმანათლებლო პროგრამების - მოდულებისა თუ ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასებისათვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები იყენებენ:

1. საგანმანათლებლო პროგრამას;

2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციას სწავლების სხვადასხვა საფეხურისთვის;

3. კურიკულუმის შეფასების ფორმას;

4. სილაბუსის ფორმას;

5. სილაბუსის შეფასების ფორმას;

6. საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების წესს.

პროგრამის შეფასებისას ყურადღება ექცევა რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს, რამდენად შესაფერისია სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მისაღწევად, რამდენად ადეკვატურია შეფასების მეთოდები სწავლის შედეგების გაზომვისათვის და ა.შ.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ რაოდენობრივ და თვისებრივ ინდიკატორებს:

1. თვითშეფასების ანგარიშს, რომელსაც უნივერსიტეტი წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (გარე შეფასება);

2. დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და დარგობრივ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანას;

3. კვლევის შედეგების პროგრამაში ასახვის ხარისხის შემოწმებას და მის შესაბამისობას საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან;

4. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის/მოწვეული პროფესორების/ მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს;

5. ქართველი გარე და უცხოელი ექსპერტების შეფასებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

[ქალაქი, წელი]

6. დამსაქმებელთა შეფასებას;

7. პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს;

8. პროგრამაში მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს;

9. პროგრამაში მონაწილე სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელს;

10. პროგრამაში მონაწილე სტუდენტების სხვა პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებელს;

11. უნივერსიტეტის სხვა პროგრამებიდან აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობას;

12. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობას;

13. პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობას (სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში);

14. პროგრამაზე რეგისტრირებული სტუდენტებისა და ამავე პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობას;

15. პრაქტიკის/სტაჟირების გავლის შემდგომ იმავე ობიექტზე სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელს;

16. პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულას (GPA);

17. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტების რაოდენობას;

18. სწავლების შემდგომ საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობას;

19. გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების/პროფესორ მასწავლებლების რაოდენობას;

20. პროგრამის მონაწილე სტუდენტების პროგრამის პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელს;

21. პროგრამის მონაწილე სტუდენტების პროგრამის არაპროფილურად დასაქმების მაჩვენებელს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

[ქალაქი, წელი]

უნივერსიტეტში პროგრამის შეფასებას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით; პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს და ფაკულტეტების საბჭოებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა სასწავლო პროცესის შეფასება. კერძოდ, სასწავლო პროცესის შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა დაადგინოს, რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლება, გამოავლინოს პრობლემები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. სასწავლო პროცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად, მის ყველაზე ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს სტუდენტების აკადემიური მოსწრება წარმოადგენს. ცხადია, აკადემიური მოსწრების ანალიზის გარდა, სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის, სტუდენტების და რიგ შემთხვევებში დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვა.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

1. საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხი;

2. შეფასებისას გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;

3. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური თვისებები;

4. სტუდენტების მომზადების დონე.

ამგვარი ანალიზი რეგულარულად უნდა ჩატარდეს თითოეული ფაკულტეტის მიერ ყოველი სემესტრის დასრულებისას, რადგანაც ის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის სასწავლო პროგრამების, პროფესორ–მასწავლებელთა მუშაობისა და სტუდენტთა სწავლის შესახებ. სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებას ახდენენ სტუდენტთა რანჟირების სკალით, რომელიც ემთხვევა გაუსის ცნობილ, ნორმალურ განაწილებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..............................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..............................

..............................

..............................

(ქალაქი, წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული მასწავლებლის, პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლების, ადმინისტრაციის გამოკითხვისა და გაკვეთილზე დასწრების ფორმები; გარდა ამისა, თითოეული პროფესიული პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს გაკეთებული აქვს როგორც შიდა, ასევე გარე მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშები, რომლებიც მოიცავენ ადმინისტრაციის კითხვარების, მოდულების მიხედვით მასწავლებლის კითხვარისა და სტუდენტთა კითხვარების ანალიზს. შიდა/გარე მხარდაჭერის ჯგუფის მიერ: მეცადინეობაზე/შეფასების პროცესზე დასწრების ანალიზს, შეფასების კითხვარების ანალიზს, მოდულური პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით დაწესებულებაში ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების ანალიზს, შიდა/გარე მხარდაჭერის ჯგუფის შენიშვნებს მოდულური პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით და რეკომენდაციებს დაწესებულებაში მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესის გაუმჯობესების შესახებ.

სამივე პროფესიული პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს მომზადებული აქვთ თითოეული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში და კომპეტენციების კვლევა სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (SWOT ანალიზები).

SWOT ანალიზებში განსაზღვრულია კვლევის მიზანი, კვლევის საგანი, კვლევის ინსტრუმენტები და კვლევის ჩატარების პროცედურა. კვლევის მოსამზადებლად შერჩეულია ფოკუს ჯგუფები, რომელშიც შედიან: პროფესიული მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულები და დამსაქმებლაები.

კვლევის შედეგებში წარმოდგენილია რესპოდენტთა ზოგადი დამოკიდებულება (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური) პროფესიული პროგრამების მიმართ, მათი განხორციელებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ, დამსაქმებელთა და შესაბამის სფეროში დასაქმებულ კურსდამთავრებულთა დამოკიდებულება პროგრამის მოდიფიცირების, პროგრამის განხორციელებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. კერძოდ:

- ✓ გამოვლენილია შრომის ბაზრის მდგრადი და სიტუაციური ხასიათის ფაქტორებზე რეაგირების მექანიზმები;
- ✓ გამოვლენილია შრომის ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ზემოქმედების მექანიზმები;
- ✓ გამოვლენილია სტუდენტთა დამოკიდებულება სასწავლო პროცესის, სწავლის შედეგებისა და სამომავლოდ დასაქმების მიმართ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

(ქალაქი, წელი)

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშებსა და კომპეტენციების კვლევას უნივერსიტეტი იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების, სრულყოფისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმებით;
- პროფესიული მასწავლებლის, პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის, ადმინისტრაციის გამოკითხვისა და გაკვეთილზე დასწრების ფორმებით;
- შიდა და გარე მხარდაჭერის ჯგუფების ანგარიშებით;
- შიდა /გარე მხარდაჭერის ჯგუფის შენიშვნებით მოდულური პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით და რეკომენდაციებით დაწესებულებაში მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესის გაუმჯობესების შესახებ;
- პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშებით;
- SWOT ანალიზებით (კომპეტენციების კვლევით სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

33

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

----------------

*(ქალაქი, წელი)*

## 2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მფლობელობაში აქვს 2 სასწავლო კორპუსი (თბილისი, პოლიტკოვსკაიას 61, პოლიტკოვსკაიას 26). უძრავი ქონება რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის მიერ და მინიჭებული აქვს საკადასტრო კოდები (ს/კ 01.14.05.005.003; ს/კ 01.14.05.005.134). ასევე, მომზადებულია აზომვითი ნახაზები, სადაც გამიჯნულია სასწავლო და არასასწავლო დანიშნულების ფართები.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | თბილისი, პოლიტკოვსკაიას 61 | 7079.56 კვ.მ. |
| 2 | თბილისი, პოლიტკოვსკაიას 26 | 7752.75 კვ.მ. |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით;
- აზომვითი ნახაზებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

(ქალაქი, წელი)

დაწესებულებას პროგრამების განხორციელებისთვის გააჩნია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით (N15/02-07-50 / 23.10.2018) გამოიყო შესაბამისი ფართები და კომპიუტერული კლასები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით (დანართი 7).

1. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:
   - აუდიტორია N504 – 55.44 კვ.მ - A გარემო 23 სტუდენტზე;
   - აუდიტორია N506 – 54.58 კვ.მ - A გარემო 25 სტუდენტზე;
   - აუდიტორია N507 – 75.74 კვ.მ - A გარემო 27 სტუდენტზე ;
   - აუდიტორია N508 – 37.08 კვ.მ - C გარემო 25 სტუდენტზე;
   - აუდიტორია N323 – 30 კვ.მ ; N501 – 57.83 კვ.მ - B გარემო (კომპიუტერული კლასები) - სულ - 24 სტუდენტზე.

დაწესებულებას პროგრამაზე არსებული სტუდენტთა რაოდენობიდან აქვს თითოეულ აუდიტორიაზე გაწერილი რაოდენობა. თუმცა მატერიალური ბაზების/რესურსების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ უფრო მეტი პროფესიული სტუდენტის დატევა შეუძლია პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ A გარემოს.

2. სადაზღვევო აგენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:
   - აუდიტორია N612 – 55.49 კვ.მ - A გარემო - 20 სტუდენტზე;
   - აუდიტორია N505 – 34.57 კვ.მ - A გარემო - 20 სტუდენტზე;
   - აუდიტორია N323 – 30 კვ.მ; N327 – 30 კვ.მ - B გარემო (კომპიუტერული კლასები) - სულ - 24 სტუდენტზე.
3. ვებ დეველოპერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:
   - აუდიტორია N214 – 43.2 კვ.მ - A გარემო - 20 სტუდენტზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*[ქალაქი, წელი]*

- აუდიტორია N205 – 43.1 კვ.მ; N207 – 43.1 კვ.მ - B გარემო (კომპიუტერული კლასები) - სულ - 30 სტუდენტზე.

ვებ დეველოპერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის გამოყოფილია 2 კომპიუტერული კლასი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტებისთვის 15-15 კომპიუტერით. შესაბამისად, თუნდაც ერთი ცვლის პირობებში კომპიუტერული კლასები განკუთვნილია 30 სტუდნეტისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით (N15/02-07-50 / 23.10.2018);
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

- ელექტროენერგიის მიწოდებას უზრუნველყოფს სს თელასი, რომელიც მათ აწვდის ს/ქ ა2239-დან 340 კვტ. და ს/ქ ა1036-დან 150 კვტ. სიმძლავრის ელექტროენერგიას;
- შენობის ყველა სართული უზრუნველყოფილია სველი წერტილებით, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილების უმეტესობა განახლებულია და უნივერსიტეტის ორივე კორპუსის პირველ სართულზე ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც ირკვევა, რომ I და II სასწავლო კორპუსების აუდიტორიებში ვენტილაცია უზრუნველყოფილია ჰაერის ბუნებრივი მოძრაობით, ფანჯრების გაღების გზით და ორივე კორპუსის ცენტრალური გათბობის სისტემის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ზემოაღნიშნული დასტურდება შენობების ვიზუალური დათვალიერებითაც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტისზის დასკვნით;
- სს თელასის წერილით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორივე კორპუსში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლებიც მოიცავენ სამკითხველო დარბაზებს, წიგნთსაცავს, პერსონალის სამუშაო სივრცეს, კომპიუტერებით აღჭურვილ სივრცეს, სივრცეს შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობისთვის.

ბიბლიოთეკას გააჩნია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N06-30/2, 16.03.2018) დამტკიცებული დებულება და ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი (N06-34/6, 22.06.2018), რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. აღნიშნული წესის შესაბამისად ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 საათიდან 20:00 საათამდე, ხოლო შაბათს 09:00 საათიდან 14:00 საათამდე.

დაწესებულებას რამდენიმე ელექტრონული წიგნი ჰქონდა ფაკულტეტზე, მაგრამ არ ჰქონდა განთავსებული ბიბლიოთეკაში. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ელექტრონული წიგნები გადაეტანა ელექტრონულ მატარებლებზე და ისე განეთავსებინა ბიბლიოთეკაში. ვიზიტის მესამე დღეს წიგნების ელ. ვერსიები ჩაიწერა CD დისკებზე და განთავსდა ბიბლიოთეკაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის დებულებით;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა 2018 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული კომპიუტერული ტექნიკის საინვენტარიზაციო უწყისი. შესაბამისად, უნივერსიტეტი აღჭურვილია კომპიუტერებით, ნოუთბუქებით, პროექტორებით, კომბაინით, პრინტერებით. ინტერნეტი ხელმისაწვდომია დაწესებულების ორივე კორპუსში. აუდიტორიების ნაწილი აღჭურვილია ვიდეოკონფერენციის მოწყობილობითა და ე.წ. გონიერი დაფებით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბებას და მის დაკავშირებას მსოფლიო (გლობალურ) საინფორმაციო სივრცესთან თანამედროვე, მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვით; ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებას, ხელმისაწვდომობას, მის ოპტიმალურ ფუნქციონირებასა და უსაფრთხოებას.

შემუშავებულია და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია "ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების პოლიტიკა", სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია კიბერუსაფრთხოებასა და მის უზრუნველსაყოფად ეფექტური განხორციელების მექანიზმებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- უნივერსიტეტის სტრუქტურით;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების დებულებით;
- საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია "გრენასთან სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ ხელშეკრულებით;
- კომპიუტერული ტექნიკის საინვენტარიზაციო უწყისით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული აქვს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს სსუ-ში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (N06-30/2, 16.03.2018) დამტკიცებულია უნივერსიტეტის კანცელარიის დებულება, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს და მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დოკუმენტებზე მუშაობის ფორმირებისა და მეთოდების სრულყოფა, საქმისწარმოების ერთიანი წესების, სახელმწიფო სტანდარტებისა და სხვა მოქმედი ნორმატივების შესაბამისად დოკუმენტირების, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციის, საინფორმაციო-საძიებო სისტემების, შესრულების კონტროლისა და ქვედანაყოფებში დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობის უზრუნველყოფა; ასევე არქივის საქმიანობის წარმართვას; არქივისთვის მიკუთვნებული დოკუმენტების გადაცემის, დაცვის, აღწერის სრულყოფისა და გამოყენების უზრუნველყოფას.

უნივერსიტეტში მოქმედებს შემოსული განცხადებებისა და კორესპოდენციის, გასული კორესპოდენციის, გაცემული ცნობების, ბრძანებების ელექტრონული რეგისტრაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემა "ელგონი"-ს მეშვეობით. ამავე დროს არსებობს მათი რეგისტრაციის ჟურნალები.

პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების გადამოწმებისას, ის ასევე შედარებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემასთან (www.evet.emis.ge), სადაც სწორად და ვადების დაცვით იყო ასახული პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ -სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

[ქალაქი, წელი]

- სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის დებულებით;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემით "ელგონი";
- რეგისტრაციის ჟურნალებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანრთელობა უზრუნველყოფილია შემდეგნაირად:

ა) ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამართველოს მიერ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსისადმი მიწერილი წერილით (24.07.2018) ირკვევა, რომ ქ. თბილისის საგანგებო სიტუაცების მართვის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სახელმწიფო ზედამხედველობის განყოფილების სპეციალიტების მიერ განხორციელდა უნივერსიტეტის ორივე კორპუსის შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღდეგო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

მდგომარეობის შემოწმება. მოწყობილია სტენდები და განხორციელებულია ცეცხლმაქრების გადამუხტვა.

ბ) უნივერსიტეტის ორივე კორპუსში, სართულების მიხედვით თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.

გ) ამ ეტაპზე სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად უნივერსიტეტის მეორე კორპუსში (პოლიტკოვსკაიას ქუჩა N26) ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, რომლის გახსნა და პირველადი დახმარების (მათ შორის სტუდენტების) აღმოჩენა ევალება სადაზღვევო კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგს". ამ მიზნით სამედიცინო პუნქტს ემსახურება ექიმი, რომელიც მუშაობს დღის პირველ ნახევარში. პირველ სასწავლო კორპუსში (პოლიტკოვსკაიას ქუჩა N61) დაგეგმილია სამედიცინო პუნქტის გახსნა, რომელიც განთავსდება შენობის პირველ სართულზე სართულის რეაბილიტაციის დასრულებისთანავე. მნიშვნელოვანია დაწესებულებამ შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის. ასევე, სასურველია გაიწეროს, თუ ვინ უზრუნველყოფს მედიკამენტების ვადების კონტროლს, მედიკამენტების გაცემას, ჩამოწერას, სარეგისტრაციო ჟურნალებში მიმართვიანობის გატარებას და ა.შ.

დ) უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დაცვისა და შიდა უსაფრთხოების სამსახური, რომლის მიზანს უნივერსიტეტის ორივე სასწავლო კორპუსის მთელ პერიმეტრზე წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს "მაგისტრს" შორის გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კომპანია უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შენობის სიგნალიზაციით დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სადაზღვევო კომპანია "ჯიპიაი ჰოლდინგთან" გაფორმებული ხელშეკრულებით;
- შპს "მაგისტრ"-თან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და შიდა უსაფრთხოების სამსახურის დებულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________ ________

(ქალაქი, წელი)

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის შესასვლელები აღჭურვილია სპეციალური პანდუსით, ხოლო მეორე სასწავლო კორპუსში დამონტაჟებულია ვერტიკალური ამწე/პლატფორმა. შენობის ორივე კორპუსში ფუნქციონირებს ლიფტები. შესაბამისად პროფესიულ სტუდენტს აქვს წვდომა ადმინისტრაციასა და ფაკულტეტების სამსახურებთან, აუდიტორიებთან, კომპიუტერულ ლაბორატორიებთან და ბიბლიოთეკასთან.

სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის შენობის პირველ სართულებზე ადაპტირებულია სველი წერტილები. უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სველი წერტილიდან, საჭიროების შემთხვევაში სსსმ პროფესიულ სტუდენტს, შეუძლია დახმარება მოითხოვოს სიგნალის ჩართვით. დახმარების გაწევას უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..................

..................

[ქალაქი, წელი]

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უნივერსიტეტის ვებ გვერდი (www.sou.edu.ge ) ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია სტანდარტებთან დაკავშირებული ინფორმაცია. კერძოდ სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი, კატალოგი, უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა და სხვა. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

სტანდარტით გათვალისწინებულის გარდა, ვებ გვერდზე განთავსებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი - უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის ვებ გვერდით www.sou.edu.ge
- ინტერნეტმომსახურებების და გვერდის ჰოსტინგის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ ხელშეკრულებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

*დანართი №2*

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მისია, მიზნები, სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი ( 2018- 2025 წლებისთვის) და 3 წლიანი სამოქმედო გეგმები (2018-2020 წლებისთვის). შესასრულებელი აქტივობები წლების მიხედვითაა გაწერილი (2018, 2019, 2020).

როგორც მისიაშია ნათქვამი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური დარგების, მოკლევადიანი და პროფესიული პროგრამების განხორციელება, რომელთა მიზანს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება შეადგენს.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიზანია შემდეგი: „აკადემიური განათლების სამსაფეხურიანი სწავლების ციკლის (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა-დოქტორანტურა), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, უწყვეტი განათლების და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სასწავლო პროგრამების განხორციელება, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება".

სტრატეგიული განვითარების 7 წლიან გეგმაში გაკეთებულია SWOT ანალიზი, რომელშიც მოდულური პროფესიული პროგრამები უნივერსიტეტის ძლიერ მხარედ მოიაზრება.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები შემდეგია:

1. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება;
2. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა;
3. ინტერნაციონალიზაცია და კავშირების გაფართოება;
4. სტუდენტური სერვისები;
5. მენეჯმენტის შემდგომი გაუმჯობესება;
6. ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ________

________

________

*[ქალაქი, წელი]*

სტრატეგიული განვითარების გეგმის #1 მიმართულებაში - სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება - #1 ამოცანაა საგანმანათლებლო პროგრამების განახლება და განვითარება, ხოლო #3 ამოცანა - საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის განვითარება.

სტრატეგიული განვითარების გეგმის #6 მიმართულებაში - ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა - #1 ამოცანაა - ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესისათვის აუცილებელი აღჭურვილობით უზრუნველყოფა და მისი სისტემატური განახლება-განვითარება 2018-2024 წლებში, ხოლო # 4 ამოცანაა - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება 2018-2024 წლებში.

3-წლიანი სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული განვითარების #1 მიმართულების ფარგლებში - სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება, 2019-2020 წლებისთვის დაგეგმილია პროფესიული პროგრამების შემდგომი განვითარება და ახალი პროგრამების შექმნა.

ამოცანა #4 საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება:

აქტივობა #1 - საგანმანათლებლო ფართების რეაბილიტაცია;

აქტივობა #2 - საგანმანათლებლო ფართების აღჭურვა ახალი ინვენტარით და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით;

აქტივობა #3 - სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია;

აქტივობა #4 - ადაპტირებული სასწავლო გარემოს შემდგომი განვითარება.

3-წლიანი სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული განვითარების #6 მიმართულების ფარგლებში - ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა, 2019-2020 წლებისთვის დაგეგმილია:

ამოცანა #1 ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის აუცილებელი აღჭურვილობით უზრუნველყოფა და მისი სისტემატური განახლება-განვითარება;

აქტივობა #1 - სასწავლო კორპუსების რეაბილიტაცია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

აქტივობა #2 - სასწავლო და დამხმარე სივრცეების შემდგომი რეაბილიტაცია;

აქტივობა #3 - სასწავლო სივრცეების შემდომი გაუმჯობესება, აუცილებელი აღჭურვილობის მუდმივი განახლება;

აქტივობა #4 - სამეცნიერო-კვლევითი სივრცეების შემდგომი გაუმჯობესება, აუცილებელი აღჭურვილობების მუდმივი განახლება;

აქტივობა #5 - ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების შემდგომი გაუმჯობესება და განახლება;

აქტივობა #6 - საინფორმაციო ტექნოლოგიების და სერვისების შემდგომი გაუმჯობესება და განახლება.

იმას, თუ რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმით გაწერილი კონკრეტული აქტივობა დაწესებულებაში წლის განმავლობაში აფასებენ, მაგრამ ანგარიში მხოლოდ კალენდარული წლის ბოლოს დგება. შესაბამისად, პირველი ანგარიში 2018 წლის ბოლოს უნდა მომზადდეს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის მისიით;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 7 - წლიანი გეგმით;
- უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმით;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდით www.sou.edu.ge

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------
----------------
----------------

(ქალაქი, წელი)

## 3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

უნივერსიტეტს სტრუქტურიდან გამომდინარე გაწერილი აქვს სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო იმ ადმინისტრაციულ პოზიციებზე, რომლებზეც დანიშვნა არ საჭიროებს კონკურსს, ადამიანები დანიშნულები არიან პირდაპირი დანიშვნის წესით. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის არჩევა ხდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული მასწავლებლების მიღება - შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის გათვალისწინებით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, რაც ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რის საფუძველზეც იდება ხელშეკრულება.

უნივერსიტეტი აპირებს თითოეული თანამდებობისთვის გაწეროს და დაამტკიცოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელთა მიმართებაშიც მოხდება პერსონალის კვალიფიკაციის შედარება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

48

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

----------------------------

(ქალაქი, წელი)

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართულია აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული და რექტორის ბრძანებით დანიშნული 8 პროფესორი. მათგან:

1. სადაზღვევო აგენტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია **ნინო ქეცბაია** - 2017 წელს კონკურსის წესით, ბიზნესის მიმართულებით, მარკეტინგის სპეციალობით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული ასიტენტ-პროფესორი;

2. ბაგა-ბაღის აღმზრდელის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში:

ა) **ლევან ჯინჯიხაძე**, 2013 წელს კონკურსის წესით, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული ასოცირებული პროფესორი;

ბ) **ლელა რეხვიაშვილი**, 2017 წელს კონკურსის წესით, განათლების მიმართულებით, ინკლუზიური განათლების სპეციალიზაციით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული ასიტენტ-პროფესორი;

გ) **ბროლისა წულაია**, 2013 წელს კონკურსის წესით, საბუნებისმეტყველო მიმართულებით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული ასოცირებული პროფესორი;

დ) **რუსუდან ფიფია**, 2013 წელს კონკურსის წესით, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული ასოცირებული პროფესორი.

3. ვებ ინტერფეისის დეველოპერის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

ა) **სოფია შენგელია**, 2017 წელს კონკურსის წესით, ინფორმატიკის სპეციალობით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული ასიტენტ-პროფესორი;

ბ) **ლალი ბესელია**, 2017 წელს კონკურსის წესით, ინფორმატიკის სპეციალობით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული ასიტენტ-პროფესორი;

გ) **ინგა გაბისონია**, 2017 წელს ინფორმატიკის სპეციალობით, აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული ასიტენტ-პროფესორი.

**ზემოჩამოთვლილი ყველა პროფესორი აფილირებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.**

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა თითოეული პროფესორის სრული საათობრივი დატვირთვა აკადემიური და პროფესიული პროგრამების ფარგლებში. დატვირთვების გაანალიზებისას გაირკვა, რომ:

1. ასისტენტ პროფესორს ნინო ქეცბაიას, კვირაში 20 საათი აქვს აკადემიურ პროგრამაზე, ხოლო 6 საათი პროფესიულ პროგრამაზე;

2. ასოცირებულ პროფესორს ლევან ჯინჯიხაძეს, კვირაში 10 საათი აქვს აკადემიურ პროგრამაზე, ხოლო 3 საათი პროფესიულ პროგრამაზე;

3. ასისტენტ პროფესორს ლელა რეხვიაშვილს, კვირაში 11 საათი აქვს აკადემიურ პროგრამაზე, ხოლო 8 საათი პროფესიულ პროგრამაზე;

4. ასოცირებულ პროფესორს ბროლისა წულაიას, კვირაში 8 საათი აქვს აკადემიურ პროგრამაზე, ხოლო 5 საათი პროფესიულ პროგრამაზე;

5. ასოცირებულ პროფესორს რუსუდან ფიფიას, კვირაში 8 საათი აქვს აკადემიურ პროგრამაზე, ხოლო 5 საათი პროფესიულ პროგრამაზე;

6. ასისტენტ პროფესორს სოფია შენგელიას, კვირაში 22 საათი აქვს აკადემიურ პროგრამაზე, ხოლო 3 საათი პროფესიულ პროგრამაზე;

7. ასისტენტ პროფესორს ლალი ბესელიას, კვირაში 19 საათი აქვს აკადემიურ პროგრამაზე, ხოლო 5 საათი პროფესიულ პროგრამაზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ........................

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ........................

........................

........................

*(ქალაქი, წელი)*

8. ასისტენტ პროფესორს ინგა გაბისონიას, კვირაში 16 საათი აქვს აკადემიურ პროგრამაზე, ხოლო 3 საათი პროფესიულ პროგრამაზე.

აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილი აკადემიური პერსონალიდან 3, იმავდროულად უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობას იკავებს. კერძოდ:

1. ასისტენტ-პროფესორი ნინო ქეცბაია არის ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

2. ასოცირებული პროფესორი რუსუდან ფიფია არის განათლების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

3. ასისტენტ-პროფესორი ინგა გაბისონია არის მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, როგორ უთავსებენ პროფესორები ასეთ სალექციო დატვირთვას ადმინისტრაციულ თანამდებობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, აღნიშნულ პირებს ზეგანაკვეთური სამუშაო უნაზღაურდებათ შრომის კოდექსით გათვალისწინებული და უნივერსიტეტში დადგენილი წესით, თუმცა სამომავლოდ რექტორი გეგმავს, მაქსიმალურად შეამციროს ადმინისტრაციული პერსონალის საათობრივი დატვირთვა. ამასთან, უნივერსიტეტს ყავს საკმარისი აკადემიური რესურსი, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში ზემოაღნიშნული პროფესორების ჩასანაცვლებლად გამოიყენებს.

მოდულის განმახორციელებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისას, გამოიკვეთა რომ რამდენიმე მასწავლებელს პირად საქმეებში არ ედო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ან კვალიფიკაცია შეუსაბამო იყო დაკავებულ თანამდებობასთან (მოდულთან). დაწესებულებამ ვიზიტის ბოლოს წარმოადგინა კვალიფიკაციის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ცნობა).

რეესტრის მონაცემებით ფიქსირდება პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემდეგი რაოდენობა:

- მოდულის განმახორციელებლები: 41
- პროფესიული სტუდენტები: 130



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..................
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ..................

(ქალაქი, წელი)

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის და მოდულის განმახორციელებელთა თანაფარდობაა 130/41-ზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესორთა პირადი საქმეებით;
- აკადემიურ თანამდებობებზე მათი დანიშვნის ბრძანებებით;
- ასისტენტ პროფესორის, ნინო ქეცბაიას ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსად დანიშვნის ბძანებით;
- ასოცირებული პროფესორის, რუსუდან ფიფიას განათლების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის ბძანებით;
- ასისტენტ პროფესორის, ინგა გაბისონიას მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად დანიშვნის ბძანებით;
- აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებზე პროფესორთა კვირეული საათობრივი დატვირთვის ბადით;
- რეესტრის მონაცემებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

(ქალაქი, წელი)

ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობათა დაკავება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის" 35-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, ღია კონკურსის წესით, გამჭვირვალედ. აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პროფესორებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები.

ვინაიდან აღნიშნული პირები ჩართულნი არიან პროფესიული პროგრამების განხორციელების პროცესშიც, თითოეულ მათგანთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებებიც.

უნივერსიტეტს, პროფესორებთან, შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოდულის განმახორციელებლები დანიშნული არიან პირდაპირი დანიშვნის წესით და მათთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. მოდულების განმახორციელებლებთან დადებულ მომსახურების ხელშეკრულებებში სასურველია გაიწეროს პროგრამასთან ერთად, მოდულ/ებ/ის დასახელებაც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული შრომისა და მომსახურების ხელშეკრულებებით;
- მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

---------------------

*[ქალაქი, წელი]*

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ავტონომიური პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | მეხუთე | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254 | 113 | 143 | ქართული | თბილისი, პოლიტკოვსკაიას 61 | 75 | 80 |
| 2 | ვებ ინტერფეისის დეველოპერი | მესამე | ვებ ინტერფეისის დეველოპერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040165 | 71 | 86 | ქართული | თბილისი, პოლიტკოვსკაიას 26 | 30 | 40 |
| 3 | სადაზღვევო აგენტი | მეოთხე | სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020254 | 87 | 117 | ქართული | თბილისი, პოლიტკოვსკაიას 61 | 25 | 40 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________

____________

____________

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
დანართი 3. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმით;
დანართი 4. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმით;
დანართი 5. პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობით და ხელშეკრულებით;
დანართი 6. პროფესიულ სტუდენტის ხელშეკრულება;
დანართი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი შესაბამისი ფართებისა და კომპიუტერული კლასების გამოყოფა/გამიჯვნის შესახებ ბრძანებით;

19.11.2018
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

*[ქალაქი, წელი]*